საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 39 სექტემბერი 26 1899 წ. № 39

შინაარსი: ქართლი ნ. ყორდანიასი.—სხვა და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენცია.—კვირიდან კვირამდე.—*** ლექსი გ. ბოკერიასი.—ომი ტრანსვაალსა და ინგლის შორის.——ხალხის გულის ფესაიდუმლე (შემდეგი) ივ. გომართელისა.—შევარდენი თარგმანი ილიასი.—ცოტა რამ ბათუმიდან ***.—წერილი რედაქციის მმართ და კერძო განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ქ. ქუთაისი.
ექიმი
გაბრ. იოს. გოკიელოვი
მიიღებს ავათმყოფებს დილის 9—12 საათამდის, საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა ლევან ქურთოშვილის სახლი № 20
(1—3)

ქ ა რ თ ლ ი.

V.

დასასრულ, მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ერთი კითხვისაკენ, რომელიც, მართალია, მარტო ქართლს არ შეეხება, მარა ქართლი მას ასე თუ ისე ნათელს ჰფენს და თვალსაჩინოთ ხდის. ეს ის კითხვაა, რომელიც ასე აინტერესებს თითოეულ ჩვენგანს, რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ და ხშირად კორიანტელსაც აყენებენ. ეს არის კითხვა სომხების შესახებ. როცა იტყვიან „სომეხი“-ო, თვალწინ დაეხატებათ უთუოთ სოფლის მეწერილმანე-ჩარჩი, ან ქალაქის ლიპიანი „ლრაჟდანინი“ ან და კიდევ სერთუკიანი პატრიოტი. და მართლაც ამ სამ კატეგორიას შორის სამაგალითო ერთგულობა და ერთსულობაა. ისინი ისე გადაბმულან და გადახლართვიან ერთმანეთს, რომ თავისი ერის დანარჩენი ნაწილი დაუჩრდილავთ, დაუბნელებიათ და თითონ ერთიანათ ზეციდან გადაფარებიან. მათი აზრით, ერი ისინი არიან და თუ ვინმე კიდევ ბოგინობს მათ გარეთ, მათ ქვეეთ,—ეს სულ მათი წყალობით. ესენი, მართალია, სამათ არიან დანაწილებულნი, მარა, თუ ახლო გავშინჯავთ, დავინახავთ, რომ ეს სამი მხოლოთ გარეგანი სახეა ერთი და იმავე მოვლენის, ერთი და იმავე შინაარსის. ისინი ისე გადადიან ერთი მეორეში, რომ ძნელი გასაგებია—სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე. სოფლის ჩარჩსაც ერთ შვენიერ დღეს, ხედავ, ქალაქში ვეებერთელა მაღაზია გამოუჭიმავს და ჭკუის საკითხავ „კუპეცათ“ გადაქცეულა, ხოლო მისი შვილი კი—ხმოსნათ, რედაქტორათ, პატრიოტათ—ერთი სიტყვით, „ქვეყნის ‚მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილათ“ შექმნილა. ცხადია, პირველის—გაგრძელება მეორეა და მეორის—მესამე და ასე ერთათ ერთ ბადეთ მოქსოვილან. მარა ამ ბადეს ქვეშ არის კიდევ სხვა სომეხი, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ, რომლის შესახებაც ძლიერ ცოტას ლაპარაკობენ და რომელსაც ეს „სამება“ თავისუფლათ ჯეკნის და გზა-კვალს უბნევს. ეს აბუჩათ აგდებული გახლავს ქალაქში მუშა-ხელოსანი და სოფელში მუშა-გლეხი. და აი ქართლმა მე ეს უკანასკნელი გამაცნო. აქ არის სოფლები, სადაც ქართველი და სომხის გლეხები ერთმანეთშია არეული, ერთათ მოსახლეობენ და ამ წუთისოფლის ულელს ერთათ ეწევიან. გლეხი სომეხი, გლეხი ქართლელი—ორივე გლეხია, ორივე ერთნაირ პირობებში ცხოვრობენ, ორივე ხელი-ხელ გაყრილი მიემჯავრებიან. ნაციონალური მიუკარებლობა, განცალკევება, ერთმანეთის დაბრიყვება და ლანძღვა-გინება მათთვის უცნობი ხილია. ჩვენ გაზეთებს, მადლობა ღმერთს, არ კითხულობენ და ამიტომ არც იმ დავის ესმით რამე, რაიცა მწერლობაში ატეხილია. ისინი ამ კითხვას მარტივათ უცქერიან; ჩვენ ერთ სოფელში ვართ, ერთათ ვმუშაობთ, ერთათ ვლხინობთ—ერთი საქმე გვაქვს და მაშასადამე ერთათაც უნდა ვიყოთო. მორჩა და გათავდა. და ახლა მათ რამდენიც უნდა უძახო—არა, ერთი არა ხართ, შენ სომეხი ხარ და ის ქართველი—ეს მათ მაინც ერთმანეთისაგან ვერ დააშორებს და წალმა-უკულმა ვერ გადატყორცნავს. ქართველი გლეხი იტყვის: რა ვუყოთ რომ ის სომეხია, მე რას მიშლის მისი სომხობაო. და მართლაც არაფერს უშლის. სომეხი გლეხი იტყვის: რა ვუყოთ რომ ის ქართველია, მე რას მიშლის მისი ქართველობაო. და მართლაც არაფერს უშლის. ორივემ ერთნაირათ უნდა უხადოს მემამულე-ბატონს ღალა და გაუწიოს სხვა სამსახური; ორივემ ერთ ნაირი პროცენტი უნდა მისცეს მოვალეჩარჩს და მას ფეხ-ქვეშ გაეგოს. და ახლა მოდით დაარწმუნეთ, თქვენ ერთი მეორის მოწინააღმდეგენი უნდა იყოთო! ან გიჟათ მიგიღებენ და ან მორალატეთ...

ცხადია, ქართლის სომეხ-გლეხს და ქართველ-გლეხს ერთობა მოეპოვებათ ნივთიერ ნიადაგზე; ისინი ერთნაირ მდგომარეობაშია ჩაყენებული და კიდევაც ერთნაირათ ცხოვრობენ. მარა ეს ერთობა არ განისაზღვრება მარტო ნივთიერი პირობებით. ის მიდის კიდევ უფრო შორს და ეხება თვით ეროვნულ საფუძველსაც. პირველათ, სოფლელმა სომეხმა სრულებით არ იცის სომხური ენა; მეორეთ, მისი სახის მოყვანილობა სრულებით არ ჰგავს სომხის სახის მოყვანილობას. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რითაც ერი ერობს ხალხი ხალხობენობს, მასში ჩამქრალია, აღარ არსებობს. ავიღოთ ჯერ ენა.

ეს დღეს საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ეროვნობის ბურჯი, მისი არსებობის დედა-ბოძი—მისი ენაა. წააქციეთ ეს ბოძი და წაიქცევა თვით ერი, დაასახიჩრეთ ის და დასახიჩრდება თვით ერი, გამოუცვალეთ ის და გამოიცვლება თვით ერი. რასაკვირველია, ერთ ორ და გინდ ას კაცს შეიძლება დაეკარგოს სამშობლო ენა და მაინც სულით და გულით თავის ერს ეკუთვნოდეს. მარა, თუ კი მთელმა კუთხემ, მთელმა პროვინციამ, მთელმა ხალხმა დაჰკარგა თავისი ენა—ის არასოდეს აღარ იქნება საკუთარი ეროვნობის მატარებელი, ის ერთიანათ სპობს ყოველსავე კავშირს თავის ხალხობენობასთან და იქცევა ყველაფრათ, რათაც კი გსურთ, მხოლოთ იმათ კი არა, რაც წინეთ იყო. ენა—ეს უმადლესი და უფაქიზესი გამოხატულებაა ხალხის გონებრივი, ზნეობრივი და, ასე გასინჯეთ, ფიზიკური თავისებურობისაც კი. მასში, როგორც აუზში, თავს იყრის ერის უნაზესი და უწმინდესი სულიერი თვისებები, აქ გამოინასკვება სულის უჩინარი ძაფები, აქ ინახება ნაციონალური სულის ერთათ ერთი გასაღები და როცა ის შეირყევა, გაფუჭდება და ან მთლათ დაიკარგება, შეირყევა ⸗ დაიკარგება ერის სულიც და მასთან ერთათ მთელი ორგანიზმი. მართალი გითხრათ, მე ვერც კი წარმოვიდგენია განსაკუთრებითი ერი, განსაკუთრებითი ენას მოკლებული. ფიქრი ქართულათ შეიძლება მხოლოთ ქართულ ენაზე, ფრანგულათ—ფრანგულ ენაზე და ასე ბოლომდის. უეჭველია, ქართველსაც შეეძლება იფიქროს ფრანგულათ და ფრანგსაც ქართულათ, თუ კი ენა იციან. მაგრამ ეს არასოდეს არ იქნება ის, რაც სამშობლო ენაზეა, ის ვერასოდეს ვერ მოიფიქრებს ისე მკაფიოთ, გარკვევით და თავისებურათ, როგორც სამშობლო ენაზე. ერთი სიტყვით, ერი თავის ფსიხოლოგიურ და ფსიხო-ფიზიოლოგიურ თავისებურობას თავის ენაში ჩამოასხამს და სულს ჩაბერავს. ამიტომაა, რომ უცხო ტომის შესწავლა მოსახერხებელია მხოლოთ მისი ენის შესწავლით. ინგლისის მთელი ლიტერატურა რომ გადაიკითხო მაგ. ქართულათ, ინგლისის სულს ვითარებაზე დაახლოვებით წარმოდგენასაც ვერ შეადგენ, მარა საკმარისია ერთი რომელიმე ცნობილი თხზულება წაიკითხო ინგლისურათვე, რომ თქვენ ამ ერს სულში ჩაუძერეთ. ასევე ითქმის სხვებზედაც...

აქედან აშკარაა, რომ თავისი ნაციონალური ენის დაკარგვა და სხვა ენის შეთვისება ნიშნავს თავისი ნაციონალური სულიერი წყობილების და თავისი ნაციონალური სახის დაკარგვას და სხვისის

შეთვისებას. და აი სწორეთ ასე მოსელია სომეხ გლეხკაცებს ქართლში. ამათ, ქართველთა შორის მომწყვდეულთ, ქართული ყოფა ცხოვრებით გარემოცულთ, სომხური დავიწყებიათ და ქართული შეუსისხლხორცებიათ. და ეს არა ნაძალადევათ, სკოლაში, არამედ, თავისთავათ, ბუნებრივათ, ცხოვრებაში. მას ქართულათ უხდება ლაპარაკი, წერა, წაკითხვა და ამიტომ ამ ენას უფრო ეტანება. დღესაც კი, როცა ასე აფრინდებიან სომხები სომხურს, იმას მაინც ქართული ურჩევნია. მაგ. ახალქალაქში არის 400 კომლი სომეხი და ასი ქართველი. არის ორი სამინისტრო სკოლა, ერთი სომხებისათვის, სომხური ენით და ქართველებისათვის ქართულით. ქართული სკოლის მასწავლებელმა მითხრა ჩემ სკოლაში ქართველებზე მეტი სომხებიაო. რატომ? შეეკითხე მე.—იმიტომ, რომ სომხურ სკოლაში ქართულს არ ასწავლიან, ხოლო ცხოვრებაში კი მათ ქართული სჭირდებათ, მომიგო მან. სოფ. ეაყაში, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობა სომხობაა, ორი სკოლაა, სამინისტრო და სამრეველო. სკოლების ინსპექტორს უთქვამს, აქ მეტი სომეხია და ქართული რატომ უნდა ეასწავლო სკოლაშიო და მოუსპია ქართული, მარა, როცა სკოლაში ქართველი ბავშვებიც უნახავს, უთქვამს, ამათ სომხური არ უნდაო და მოუსპია სომხურიც. ახლა არც ერთს არ ასწავლიან და სამაგიეროთ გასულ წელს სულ 6 შეგირდი ყოფილა შიგ. სამრეველო სკოლაში არის 58, ამათში სომეხია 9.—რატომ ასე ცოტაა სომეხი? შეეკითხე მასწავლებელს.—წინეთ აქ ძალიან ბევრი სომხები იყვენ, წელს კი ტერტერამ დაუარა გლეხებს და ჩააგონა სამრეველო სკოლაში არ შეიყვანოთ შვილები, თვარა ქართულათ დანათვლენო, და ამიტომ შემცირდა მათი რიცხვი. და ასე, სომხები აღარც სამინისტრო სკოლაში დადიან და აღარც სამრეველოში. იქ იმიტომ რომ ქართული არ არის და აქ კი იმიტომ, რომ ქართული სარწმუნოების ეშინიათ. მარა ეს შიში, უბრალო ხრიკებით გამოწვეული, ჩქარა მოისპობა და ისევ განაახლებენ სამრეველო სკოლაში სწავლას. ასეა თუ ისე, გლეხ-კაცები, მიუხედავათ ტერტერათა ქადაგებისა, ქართულს უფრო ეტანებიან, ვინემ სომხურს; ყოველივე სოფლის საქმეები სოფლის სასამართლოში ქართულათ წარმოებს. ყოველგან ქართულს ლაპარაკობენ, პიროობები, ვექსილები, უწყებები და სხვა ქაღალდები ქართულათ იწერება და მაშასადამე ეს ენა სომხისათვისაც ისეთი საჭიროა, როგორც ქართველისათვის. და აი ამიტომ ასე აფრინდება სომხის ტეტია ქართულს.

ამ ენის ცვლილებას სომხის გლეხში გამოუწვევია ტიპის ცვლილებაც. მისი სახის სულიერ გამომეტყველებასთან ერთათ შეცვლილია მისი სახის ფიზიკური გამომეტყველებაც, კაი ხანია ცნობილია, რომ თვითოეულ რასას თავის საკუთარი ცხვირის მოყვანილობა აქვს. დაუხატეთ ცხვირი რომელიმე ცნობილ ანტროპოლოგს და ის გეტყვით რომელი რასის არის. ამ მხრით, სომეხი დიდათ განირჩევა ქართველისაგან. ქალაქელ გინდ მოსულ სომეხს ერთი შეხედვით შეატყობ სომეხიაო. ქართლის სომეხ გლეხს კი სწორეთ ეს თავისი გვარტომობის ბეჭედი დაკარგვია. მას ქართველისაგან ველარ გაარჩევ. მე აქ არაფერი ისე არ გამკვირვებია, როგორც ეს. ხედავ სოფლის ბავშვებს, ნამდვილი ქართული სახით, დარწმუნებული ხარ ქართველია, ლაპარაკში, მიმოხვრაში—ყველაფერში ქართველია, მარა აი, ჰკითხე გვარ-ტომობა და შენ განცვიფრებას საზღვარი არ აქვს—მან გითხრა: სომეხი ვარო! ხანდახან რომელიმე გლეხის დანახვაზე მითქვამს—აი ნამდვილი ქართველი მეთქი და სომეხი კი გამომდგარა. ერთი სიტყვით, ტიპის ცვლილება, უმრავლეს შემთხვევაში, გასაოცარია. დაუახლოვდა ის ქართლელ ტეტიას ყოფა-ცხოვრებით, დაუახლოვდა ენით და ბოლოს ტიპითაც. ერთობა სოციალური, ერთობა ფსიხოლოგიური და ერთობა ანტროპოლოგიური! ამაზე უფრო შორს წასვლა, მგონი, შეუძლებელია.

ერთ დღეს ჩემთან იმგზავრა რამ ენიმე საათით გლეხმა, თავისი ქალამნით, მოჭყუპნული ჩოხით, ცხვრის ტყავის ქუდით და ილლიაში ამოჩრილი გრძელი ჯოხით. ვილაპარაკეთ ამ მთის იმ მთის და მის არა-ქართველობაზე, რასაკვირველია, ეჭვიც არ შემიტანია. ბოლოს მღვდლებზე ჩამოვარდა ბაასი, მან ახსენა „ჩვენი ტერტერაო“ და მეც გაკვირვებით შეეკითხე: სომეხი ხარ?—დიახ, ბატონო, სომეხი ვარო, მომიგო მან.—სომხური იცი? არა, შენი ჭირიმე.—მაშ რის სომეხი ხარ?—სომხის მღვდელი გვყავს, შენი ჭირიმე... და მართლაც აქაური სომეხი ტეტია თავის სომხობას ტერტერაში ხედავს. ცხადია, მას ვერაფერი ნაციონალური საფუძველი ჰქონებია. სარწმუნოებას ჩვენ დროში ხშირათ იცვლიან და ეს აღარც ისეთ მომაკვდინებელ ცოდვათ ითვლება, როგორც წინეთ. სომეხმა რომ ქართველი შეირთოს, კანონით, მისი შთამომავლობა ქართველდება. და ეს ძალიან ხშირათ იქნებოდა ქართლში, რომ ერთი გარემოება არ აბრკოლებდეს. ეს არის უბრალო სარწმუნოებრივი ცრუ მორწმუნეობა, განმტკიცებული და გავრცელებული თითონ ტერტერას მიერ. ტერტერა ფიქრობს: რაც მეტი შერევა მოხდება ქართველ და სომეხ შორის, მით მეტი მრეველი დამაკლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება და მაშასადამე ცხოვრების წყაროცო. და ეს, როგორც ხედავთ, პირდაპირ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს. ამისათვის ის სულით და გულით მეცადინეობს დაიფაროს თავის სამწყსო ასეთი ცდომილებისაგან და რაც შეიძლება გაიმრავლოს მრეველი გამოდის, რომ ის სომხის ეროვნობაზე ზრუნავს, მის შენახვაზე თავსა დებს. ზოგი ამას მისი იდეალური მისწრაფებით, მისი მეტის-მეტი ნაციონალიზმით ხსნის, მარა ეს ძალათ მიკერებული ამბავია. ტერტერას „ნაციონალიზმი“ გამოწვეულია პირდაპირ მისი ჯიბის ინტერესით და თუ თანაც „პატრიოტის“ სახელს დაიმსახურებს—რა ენაღლება, კიდეე უკეთესი. მეორე მხრით, ქართველი მღვდელი კი თავისუფალია ასეთი ზრუნვისაგან, ქართველს კანონით აკრძალული აქვს სარწმუნოების გამოცვლა და მოძღვარს ამის შესახებ თავის შეწუხება აღარ სჭირდება. გარდა ამისა. ის ხშირათ უძნელებს სომეხს ქართველთან შეუღლებას. მას ბევრნაირ ფორმალისტიკას თხოვს და ამის ასრულება ცრუმორწმუნე ტეტიას უძნელდება.

მიუხედავათ ასეთი რელიგიური შეხედულობებისა, ქართველ და სომხებს შორის სრულებით არ არის ფანატიზმი, რელიგიური უთანხმოება, შუღლი და განხეთქილება. პირ იქითაც, აქაც საშინელი თანხმობა და ერთობაა. ძალიან ხშირათ, ქართული და სომხური ეკლესია ერთ გალავანშია, ორივე ალაგას ერთ და იმავე დროს წარმოებს წირვა, თუმცა ეკლესიაში არც ერთი დადის მაინცა-დამაინც და არც მეორე. ერთათ აქვთ საფლავიც და გარეგნობით ვერც კი გამოარჩევ სად სომეხი ასაფლავია და სად ქართველი. ჯვარის წერაზე, ქორწილზე, ტირილზე ერთათ არიან. სოფ. ნაბახტევში სულ სამი კომლი სომეხია და მათ არც ეკლესია ჰქონდათ. სალოცავათ ქართულ ეკლესიაში დადიოდენ. მხოლოთ ახლა სურამელ სომხებს აუშენებიათ იმათთვის პატარა საჯვარე, რჯული არ დაჰკარგონ. და როცა დამარხვაა ან და ჯვარის წერაა, ტერტერა ალიდან მოჰყავთ. ტერტერა უმთავრეს საეკლესიო წესებს სომხურათ ასრულებს, რაც მრეველს სრულებით არ ესმის, ხოლო დანარჩენს კი ქართულათ.

ამ ნაირათ, ქართველ და სომეხ ტეტიას ერთმანერთისაგან მხოლოთ კვირა-უქმე დღეს გამოარჩევ როცა ერთი ერთ ეკლესიაში შევა და მეორე მეორეში. მორჩა და გათავდა. მათაც მხოლოთ ეს განსხვავება სწამთ, ეკლესიაში იყოფიან, ეკლესიის გარეთ კი ყველაფერში ერთდებიან. და ეს ისე თავის თავათ და ბუნებრივათ წარმოებს, რომ თავში არც კი მოუვათ, რატომ ასე უნდა იყოს და არა სხვაფერო.

და აი, მოდით და ამ წყარ, მშვიდობიან ხალხში დათესეთ ნაციონალური შური და მტრობა, ბრძოლა და განხეთქილება, შეუსიე მეზობელი მეზობელს, ნათესავი ნათესავს, აუფორიაქე საბლ-კარი, დაურღვიე მეუფლობა...—არა, ბატონებო, ამის თანახმა არასოდეს არ ვყოფილვარ და არც ვიქნები. ეს შეიძლება ხელსაყრელი იყოს იმათი ბატონებისათვის, მემამულის ან და კაპიტალისტებისათვის, მარა მათთვის, ამ დაბეჩავებულ მუშაკაცებისათვის არასოდეს. სომხობაში მე ვარჩევ ორ დიდ ჯგუფს: პირველს შეიცავს ის სამი ნაწილი, რომელზედაც თავში ელაპარაკობთ და რომელნიც შეადგენენ ერთ გაბატონებულ ჯგუფს. ის ყელეფს როგორც ქართველ ისე სომხის ხალხს. იმათი წინააღმდეგი ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები. ხოლო მეორე ჯგუფს შეიცავს აი ეს დაუძლურებული სოფლის ტეტია გლეხები და მათთან ქალაქის მუშა-ხელოსნები. ეს ნაწილი არც არავის ყვლეფს და არც ვინმეს ცარცვავს. პირიქით, ის თვითონ იყვლიფება და იცარცვება. ამათი მტერი ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები...

—

ამით ვათავებ ამ ჟამათ ქართლის შესახებ საუბარს. და ამასთანავე დიდ მადლობას ვუცხადებ ყველა იმ პირთ, რომლებმაც, თავისი სტუმართ მოყვარეობით და გზა-კვალის ჩვენებით, გამიადვილეს ქართლის ნახვა და დამეხმარენ მოგზაურობაში. შეიძლება იმათ ბევრი მწარე სიტყვა ვუთხარი, ბევრ ნაკლულევანებაზე მიეუთითე, მარა ყველა ამაში მე ხელ-ვმძღვანელობდი თქმულებით „მოყვარეს პირში უძრახვენ“. და აი, მხოლოთ ამ მოყვრობამ, ქართლის აყვავების და აღორძინების სურვილმა მათქმევინა ის, რაც ვთქვი და, იმედია, მომავალშიაც ვიტყვი.

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

როგორც შევიტყვეთ ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდება კვირას, ათს ოქტომბერს.

—

ქართული საიუბილეო წარმოდგენა, რომელიც დანიშნული იყო 26 სექტემბერისათვის, გადადებულ იქმნა 3 ოკტომბერისათვის.

—

ამ ჟამათ ქუთაისში იმყოფება სათავად-აზნაურო ბანკის საქმეთა გასაცნობათ მთავარ მართებლის კანცელარიის მოხელე ბ-ნი პოგენპოლი.

—

17 სეპტემბერს, ნაშუადღეების $2^1/_2$ საათზე, ყარსის რკინის გზაზე სოღანლუღის მახლობლათ, თფილისიდან 14 ვერსის მანძილზე დაიმტვრა ყარსიდან თფილისისაკენ მომავალი სამგზავრო მატარებელი, რომელიც შედგებოდა 16 ვაგონისაგან, და რომელშიაც 600—მდე მოგზაური იმყოფებოდა; სულ ამ უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა 14 კაცის სიცოცხლე. მძიმეთ დაშავდა 22 კაცი, მათ შორის ორი ქართველი.

—

გამოძიებამ გამოარკვია, რომ სოღანლუღის გზის ასაკცევზე, სადაც მატარებელი დაიმსხვრა, გზის მთავრობას არც ერთი მოსამსახურე კაცი არა ჰყოლია; არ გაუკეთებია იმ ადგილას არც სანათებელი სვეტები. მთავარი და სამგზავრო ლიანდაგები შეკრული ყოფილა, ქვეშ არხის გათხრის გამო, და მეორე ისარი გადაწეული ყოფილა მესამე ლიანდაგზე, რაცწინდაწინვე არ შეუტყობინებიათ მემანქანისათვის.

—

1901 წელს ასი წელიწადი შესრულდება. რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა; ამ დღის სახსოვრათ ცნობილი მექანდაკე ბ-ნი სოდოროვიჩი საყურადღებო ქანდაკებას ამზადებს თურმე.

—

უმაღლეს მთავრობას 20,500 მან. გადაუდვია კიდევ იმ ფულის მოსამატებლათ, რომელიც გადადებულია შავი ზღვის პორის გუბერნიაში რუსთა დასასახლებლათ.

—

როგორც ისმის, დუშეთის მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით შედგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდო ღონის ძიებათა გამოძებნა დუშეთის მაზრის დასახლებულ ადგილების მახლობლათ მყოფ ჭაობების დასაშრობათ.

—

როგორც ისმის, კავკასიის უმაღლეს მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ განსაკუთრებულმა კომისიამ, კანტროლისა და სამხედრო უწყების წარმომადგენელის მონაწილეობით დაათვალიეროს მთელი ყარსის რკინის გზა იმის გამოსარკვევათ თუ რამდენათ ვარგა ეს გზა მატარებელთა მიმოსვლისათვის.

—

სექტემბრის დამდეგიდან კავკავს მოაწყდა მრავალი რუსი მუშა ხალხი. როგორც თითონ მუშები ამბობენ, პურის მოუსავლობამ, ადგილ-მამულის სიცოტავემ, სამუშაოს უშონლობამ და ათასმა სხვა ამგვარმა მიზეზებმა აიძულა ისინი მოშორებოდენ თავის სამშობლოს. უმცირესი ნაწილი ამ მუშებისა კავკავში რჩება, ხოლო უმრავლესი თფილისსა და ბაქოში მოდის.

„კვალის“ კორესპონდენტიები.

ბანძა (სამეგრელო). სოფ. ბანძა მდებარეობს თითქმის იმერეთის საზღვარზე. აღმოსავლეთით უძევს ს. ნაგიგიბერეუ და სალეხაინდრაო; დასავლეთით და ჩრდილოეთით—მდ. აბაშა და სამხრეთით ს. ორქა. დ. ხონი შორავს 12 ვერსტით, დ. აბაშა 18-თი და ახალსენაკი 21 ვერსტით. სივრცით შეიცავს მთლათ 1000 დესეტინამდე ტყე, საბალახო და სახნავ-სათეს მიწებს, რომელზედაც სახლობს დაახლოებით 610 კომლი გლეხი, 64 აზნაური და 42 თავადი. სულ 716 კომლი. კომლზე 4 სული რომ ვიანგარიშოთ, შეადგენს 2864 სულს. ასე თითოეულ სულზე თითო ქცევა არც მოდის. ნიადაგი ნოყიერი არ არის: შუათანა მოსავალს ძლივს იძლევა; მასთან, როგორც დრო მიდის, ისე მოსავალი თანდათან კლებულობს. აქ უფრო მიწათ—მოქმედებას მისდევენ. უმთავრესათ თესენ სიმინდს. მიუხედავათ საბალახო ადგილის სიმცირისა, ულელი ხარი, ძროხა და ცხენი ზოგიერთებს ჰყავს. ბევრი ჭადი, ცოტა ყველი ან ცხელი ღომი და ტყემლიანი ფარგა, ზედ წყალი. აი ბანძელის იდეალი ცხოვრებაში. ხორცს და ღვინოს ძალიან ცოტას ხმარობს სიღარიბის გამო. წელიწადში ორ მესამედ დროს მარხულობს: ლობიოთი და ჭადით საზრდოობს. მოსახლეობა უმეტესობას ძველებური აქვს: ძველებური ისლით დახურული სახლი, ბელელი და ნალია. აქა იქ ოდებსაც შეხვდებით. ამ ცოტა ხნის წინ ბანძა თურმე უდაბურ ტყეს წარმოადგენდა, მაგრამ ახლა ისეა გაკაფული, რომ ზამთარში დიდი უმრავლესობა საჭმელის დასამზადებლათ შეშას ვერ შოულობს. სცივა ბანძელს, შია ბანძელს! ამ უკანასკნელ წლებში მეაბრეშუმეობას მოჰკიდეს ხელი. წრეულ იშვიათათ შეხვდებოდით ისეთ ოჯახს, რომ აბრეშუმის ჭია არ ჰყოლოდა; მხოლოთ მათი შრომა—მეცადინეობა სასურველათ ვერ დაჯილდოვდა: ზოგს უვარგისი თესლი შეხვდა, ზოგმა მოელა არ იცოდა, ზოგს ფოთოლი შემოაკლდა. ბანძის ზომიერი, საღი ჰაერი ძალიან უწყობს ხელს მეაბრეშუმეობას და მეტ გამჭრიახობას, მეტ გონიერებას რომ გამოიჩენდენ, დიდ სარგებლობას მოუტანდა სოფელს. მაგრამ ბნელით მოცული ბანძელი რომელ საქმეში იჩენს შორს გამჭვრეტელობას, რომ აქ თავი ისახელოს და ქვეყანა გააკვირვოს. ის ხედავს მისი ყოფა-ცხოვრება ირღვევა, იშლება, აუტანელი ხდება და გულ-ხელ დაკრეფილი დასტირის თავის მდგომარეობას. მიწის შემუშავება ადამის დროინდულათ წარმოებს: ძველებური სახნისით, ფარცხით და თოხით. თქვენ წარმოიდგინეთ, ასე მჭიდროთ დასახლებულ სოფელს ბიბლიოტეკა-სამ-

კითხველო არ მოეპოვება და არც არავინ იტკივებს თავს ამ მეტათ საჭირო დაწესებულებისთვის. მას თითქმის არავინ მოეძევა ისეთი, რომ ბიბლიოთეკის კულტურული მნიშვნელობა აუხსნას, გაუთვალისწინოს ხალხს „წიგნები უსაქმო კაცების საქმეაო“ ამის ძახილი გულში ჩააკვლევინოს. თუ ბანძა გონება-ზნეობრივათ დაცემულია, გათახსირებულია, ამის მიზეზი უფრო მის ეკონომიურ მდგომარეობაში უნდა ეძიოთ. ბოროტებას ჰბადებს თვით შეუბრალებელი ცხოვრება. დაუნდობელი გაჭირვება მგლურათ ყმუილს დაგაწყებინებსო, რუსები იტყვიან. გაუმჯობესეთ ბანძელების ნივთიერი მხარე და შესამჩნევათ შეფერხდება საზიზღარი ბოროტ-მოქმედება, ქურდბაცაცობა. აქაურ თავად-აზნაურობას რაც დრო გადის ისე ადგილ-მამული ხელიდან ეცლება; მიდის გლეხი ქალაქებში, იძენს ფულს, ბრუნდება შინ, ყიდულობს მიწებს; მიჰქრის თავად-აზნაური ქალაქებში ძმა ბიჭებთან დროს გასატარებლათ, საქეიფოთ, ბრუნდება მიწების დასაგირავებლათ და მუქთათ გასასაღებლათ.

ბანძის დიდება „ბანძის მინდორი“ ჭალებიანათ წინეთ ბატონების საკუთრებას შეადგენდა, ახლა თითქმის გლეხების ხელში გადასულა. ახლა მომავალში, მოსალოდნელია, დიდი ნაწილი თავად-აზნაურობისა მთლათ ბოგანო, უმიწა-წყლო შეიქნეს. ორიოდე სიტყვა სკოლებზე. ამ დროებით ბანძას აქვს ორი სკოლა: სამინისტრო ერთ კლასიანი, სადაც ქართულს არ ასწავლიან და სამრეველო სამასწავლებლო სასწავლებელი ორ კლასიანი. უკანასკნელს მივაქცევ მკითხველის ყურადღებას, რადგანაც მისი თავგადასავალი მეტათ საყურადღებოა და სასაცილოც. საქმე აი რაში მდგომარეობს. პატივცემული ბლაღ. ან. ფეფელიას მეცადინეობით და მეოხებით სასულიერო მთავრობამ გადწყვიტა, როგორც მახსოვს, 1896 წ. დაუარსებია სამრეველო სასწავლებელი ს. ბანძაში თუ საზოგადოება აღმოუჩენდა ერთჟამიერათ დახმარებას 2900 მ. ახლო-მახლო სოფლებმა რომ გაიგეს ეს ამბავი შემწეობას დაჰპირდენ. მარტვილელებმა „დიდი ეინმეს“ შეგონებით საშინელი პროტესტი განაცხადეს, თავი მეტათ შეურაცხყოფილათ სცნეს. მათდა სასახელოთ, მათი მხრით ბევრი ტყვია წამალი დაიხარჯა, მხოლოთ გამარჯვება ბანძელებს დარჩა. მთავრობამ გამოგზავნა კომმისია სასწავლებლისთვის ადგილის ამოსარჩევათ. აი აქ აირია მონასტერი!

ზოგიერთები ამხედრებულ იყო პირდაპირ ამ ბედკრულ სასწავლებლის წინააღმდეგ და ყოველ საშუალებას ჰხმარობდენ საქმის შესაფერხებლათ. ზოგი პირადი ანგარიშებით გაჟღენთილი, დაბრმავებული ჩუმათ ჩაჩურჩულებდა ყურში დამსწრეს ჭორს, ცილის წამებას მეთაურის დასამცირებლათ, დასამარცხებლათ. მარტვილის მოტრფიალეც ბევრი გახლდათ. უკანასკნელათ მთელი დღის განმავლობაში წყლის ნაყვით, ყვირილ-ღრიალით დაღალული ხალხის დიდი უმრავლესობა დათანხმდა „შაურკარის“ ეკლესიის გვერდზე დასავლეთის მხრით შეეყიდათ ადგილი და ზედ გამოეჭიმათ ქვიტკირის სასწავლებელი; დროებით კი ხის სახლებში უნდა მოეთავსებიათ შეგირდები. რასაკვირველია, ბევრი დაბრუნდა ყრილობიდან განრისხებული მუქარით და მუშტის ცემით გულში. ფული ხალხისაგან გროვდებოდა ლანძღვა გინებით. სასწავლებელი დიდი ამბით და ვაი—უშველებელით გაიხსნა; შეგირდებმა საკმარისათ მოიყარეს თავი. მასწავლებლები, შეძლების გვარათ, სინიდისიერათ უძღვებოდენ საქმეს. მხოლოთ ორი წლის შემდეგ პატარა „რევოლიუცია“ მოხდა, რომელმაც გამოიწვია ორი მასწავლებლის პროტესტი და „ატსტავკა“. მათი წასვლ ოთ ქვეყანა არ დაქცეულა. სასიხარულოთ, მოწვეულმა მასწავლებლებმა თავისი გულ მოდგინებით და მუყაითობით, თუ საზოგადოების არა, მშობლების ყურადღება მაინც დაიმსახურეს. ასე მიმდინარეობდა ამ სასწავლებლის საქმე. საძირკველი ჯერ არ არის ჩაყრილი სასწავლებლის შენობისა, თურმე საჭირო თანხის მესამედიც არ ყოფილა შეგროვილი. ხალხი გინდ საზოგადოება—სდუმს. ხმა გაერცელდა ვითომ სკოლა გურიაში უნდა გადიტანონო. ეს თუ მოხდა, დიდი რისხვა იქნება ბანძისთვის. ეს ნათლათ დაამტკიცებს იმას თუ რამდენათ გონება ზნეობრივათ ჩამორჩენილია ის სხვა სოფლებს. ადვილი შესაძლებელია ეს ხმა გამართლდეს. ბანძელები ბოლოს ბევრს ინანებენ, მაგრამ გვიანლა იქნება.

გ—ს.

კვირიდან კვირამდე

წინ მსვლელობა, дѣлая шагъ назадъ — ისევ ძველი ასრი! — თავისებური გულის მოსვლა — რა გვარი ხარო და წასქვილზე ფქვილი მიმაქვსო! — „მალულობის“ თამაში — პოლიტიკური ჩაფარება —

ამ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საშინლათ აითვალწუნეს ჩვენში დემოკრატია. მრუდს და მართალს ხელში წკეპლები დაუჭერია და რაც შეუძლია ურტყამს, ჩავცეთ წიხლი, ჩავაზილოთო. და მერე არ იკითხავთ, ვინ? ვინ და სულ დაჩიჩქინებული „დემოკრატები“. ამ დაუჯერებელი ამბის დასაჯერებლათ ერთ ცხელ-ცხელ მაგალითს მოგახსენებთ: ამ ორი კვირის წინეთ ბ. ნიკო თავდგირიძე „ივერიის“ ფურცლებზე გოდებდა, „კვალის“ თომა ურწმუნოებს ეჭვი შეაქვთ ჩემ დემოკრატობაშიო და მეც განვი-

ზრახე დათამხდებოდი, მეცნო მისი დემოკრატობა და სინანულს მიეცემოდი. მარა ვინ გაცალა! მკვირცხლმა ნიკომ ხელახლა გამოიჯირითა იმავე გაზეთში და თამამათ გამოაცხადა: რას მიქვია დემოკრატია, ის სული „უვარგისი“ და „დაწუნებული“ ხალხის გამოგონებაოა! და რომ ამ თავის ზრახვებისათვის უფრო მეტი ძალა მიეცა, ის ევროპის მეცნიერს გადაწვდა, იპოვა უკვე ნაპოვნი ლებონი (საწყალი ლებონი!) და „ევერიაში“ აალაპარაკა, აი ვინ ამბობს ამას და როგორ თუ არ ერწმუნებითო. რას იზამთ, უნდა დაეუჯეროთ ბ. ნიკოს ავტორიტეტს, თუმცა იყო დრო—და მას აქეთ არც ისე დიდი ხანია,—როცა იგივე ნიკო ლებონის მოპირდაპირე ავტორიტეტს ეფარებოდა და სულ სხვა მოძღვრობას ეტანებოდა. ეს იყო ᲘᲐᲨᲘᲜ, როცა პარიჟიდან სებასტიან ფორის თხზულებას აცნობდა მკითხველს და დემოკრატიას ქება-დიდებას ასხამდა. მარა მას შემდეგ დრონი იცვალენ და „პაწა“ ნიკომაც „დიდი“ ნიკოსაკენ მიიბრუნა პირი. დიახ, ესეც წინ-მსელელობაა თურმე, მხოლოთ дѣлая шагъ назадъ...

* * *

ამას კიდევ როგორც იქნებოდა გაეუძლებდით, მარა მარტო ამით ვინ დაგვაჯერა. გულუხვი მასპინძელი ბევრი სხვა რამეებითაც გეიმასპინძლდება და ეს ისეთი თვალ-მარგალიტია, რომ მოუხსენებლათ დატოვება ცოდვაა. ქვეყანაზე არიან თურმე მუშები, რომელთაც, ხშირათ სამუშაო არ აქვთ, ნისწავლნი, რომელთაც ადგილი არ აქვთ და სხვა სულ ამისთანა უადგილო—უადგილონი. და მერე რატომ არ აქვთ ადგილი? იმიტომ, რომ ისინი „უვარგისნი“ ყოფილან, მაშასადამე ცხოვრებისაგან „დაწუნებულნი“ და ამ ქვეყნის მეტი ბარგნი. „ამ ნაირ კაცებს შორის ვრცელდება ყოველივე ახალი მოძღვრება... ამ გვარი ადამიანების რიცხვი მრავალია ყოველგან, მათი არსებობა რომელსამე საზოგადოებაში უფრო საშიშარია, ვიდრე ძველებერ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲘᲡᲘᲡ შემოსევა“ („ივ“. № 199). ე. ი. ეს ახალი აზრების მიმდევარნი ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲔᲑᲖᲔᲓᲐᲪ უარესი არიანო და მაშ დაეულოცოთ გზა ისევ ძველ აზრს და ძველ გზას! აი თურმე სად ყოფილა განათლება! და თუ ეს ასეა, გვიკვირს რატომ ბ. ნიკო თაგდგირიძემ ძველ, ლებონზე უფრო სახელოვან, ავტორიტეტს ხელი არ წაატანა და მასწავლებლათ არ გამოიყვანა. აი მაგ. ფილოსოფოსი არისტოტელი, ის ლებონზე უფრო გადაჭრით ამბობს, მონობა ღმერთის დაწესებულიაო...

* * *

და როცა ასეთ ახალგაზდებს უყურებ, ისევ ძველები გაგონდება და გულში ამბობ: ნუ თუ ამათი ახალგაზდობის მაგალითმა ასე უნაყოფოთ ჩაივარაო. ასეთი აზრები მაინც არასოდეს არ ᲣᲥᲐᲓᲐᲒᲘᲐ ბ. ანტ, ფურცელაძეს, რომელსაც ამ დღეებში ბ. რომანოზ ფანცხავამ ერთ მოკლე წერილში ასე გძელი წესი აუგო. („ივ“. № 201). ბ. ან. ფურცელაძეს თურმე 50 წელიწადი უწერია და უმოღვაწნია, მაშასადამე 50 წელიწადია რაც მას კითხულობენ და იცნობენ. და ყველა ამის ერთი კალმის მოსმით გაქარწყლება—ეს ერთობ მეტის მეტია და ეს ნამეტნავათ ახალგაზდასაგან. ძველებმა დეე, ერთმანეთი როგორც სურთ ისე ახსენონ და ლანძღონ. ჩვენ, მათი მოღვაწეობის ისტორიკოსებს, უფრო მეტი საბუთი და დამტკიცება გვეჭირვება ამა თუ იმ მოღვაწის დასაფასებლათ და თვითოეული მათთვის შესაფერი ალაგის მისაჩენათ. დღემდის, ეს მხოლოთ ბ. კიტა აბაშიძეა და კომპ., რომელიც ზოგ ძველ მოღვაწეს უსაბუთოთ ლანძღავს და ზოგს კი ისევე უსაბუთოთ აქებს. და არა მგონია, ამ კომპანიაში ჩაწერილიყოს ბ. რომანოზ ფანცხავა. მარა, რა გაეწყობა, ყველას თავისებურათ ცოდნია გულის მოსვლა და ამხედრება.

* * *

ასე თავისებურათ ამხედრებულა ბ. ალ. ნანეიშვილიც. მას თავისი გაჭირვება აწუხებს. ამას წინეთ ბ. ნ. ელიავა წერდა „კვალში“: ქუთაისის ოპოზიციამ გადაწყვიტა ბანკი მთლათ ერთიანათ კ. ჩიკვაიძეს შეუტიოთ ხელში, ხოლო რამდენიმე ხანს მერე კი მას მეთაურებმა, ბ. ალ. ნანეიშვილმა და სხვებმა, ითხოვეს დამფასებლების თანამდებობაო (№ 30). აი ეს იწყინა ბ. ნანეიშვილმა და, პასუხი „ახალ. მიმ.“ დაბეჭდა, ჩემ თხოვნაში ის არ წერია, რასაც ელიავა მე მაწერსო. და მერე რას აწერდა? სულ უბრალო რასმეს: „ვანცხადებაში, როგორც ამბობენ, მოუხსენებიათ: ჩვენ საქმეს ვემსახურებით და არა კერძო პირებს“.ო. როგორც ხედავთ, ეს სულ მცირე რამ ცნობაა და ესეც დამტკიცებით არ გამოუტანია ავტორს, არამედ ამბობენო. და განა უმთავრესი ძალა ამაში იყო? ბ. ელიავა ეკითხებოდა: რატომ თხოვნა მიეცით შემდეგ ოპოზიციის ისეთი გადაწყვეტილებისაო. ხოლო ბ. ნანეიშვილი კი უგებს: თხოვნაში არ ჩამიწერია, საქმეს ვემსახურებიო! რა გვარი ხარო და წისქვილზე ფქვილი მიმაქესო—სწორეთ ეს არის. და აი ბ. ნანეიშვილი მაინც არ ისევენებს. ის ბ. ელიავას რუსულ პასუხზე ხელმეორეთ აძლევს პასუხს და ხელმეორეთ სიტყვას ბანზე აგდებს. „ᲫᲐᲚᲣᲚᲝᲑᲘᲘᲡ“ თამაშიც ამას ᲭᲥᲕᲘᲐ.

* * *

ხელის დაფარება კი არა და, ხელის ჩაფარება, თუ მკითხავთ, სურამის ბოქაულს ცოდნია. ამას წი-



ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲘᲡ ᲛᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲔᲚᲘ.

ნეთ თ. ლ. ბეგთაბეგოვს ძნა დაუწვეს. მან ვილაც გლეხზე მიიტანა ეჭვი და დაჭერია. გლეხი ვითომ კიდევაც გამოტყდა ბოქაულთან და მერე გამომძიებელთან გაგზავნეს. გამომძიებელმა წაიკითხა მისი გამოტეხის ოქმი და ჰკითხა: შენ უკვე აღგიარებია შენი დანაშაული, მაშ დაწერილებით მიამბე როგორც დაწვიო. მარა ბიჭმა ტირილით შეჩივლა, მცემეს, მდევდენ, ბატონო და იმიტომ გამოეტყდიო თვარა მე არაფერი არ ჩამიდენიაო. და მართლაც ექიმის შემოწმებით, ნაცემი გამოდგა და განათავისუფლეს. „მხოლოთ ბიჭი ლოგინათ არის ჩავარდნილი“—წერს „ცნ. ფ“. კორესპოდენტი. ახლა გამომძიებელი იძიებს იმას თუ ვინ სცემა ასე უმოწყალოთ ბიჭს. აი რანაირათ ჰყოლიათ დაბრიყვებული გლეხკაცები ქართლის პოლიციელთ, რომელნიც მებატონეების ნების ამსრულებელნი არიან.

***

ვფიქრობდი მომესწრებოდა,
და ან მედიდსა ანარა;
გული დამიდნო ლოდინმა
და თმანი გამიჭაღარა.

—

გამტეხა რკინის უღელმა
მტრისგან დადგმულმა ქედზედა,
გერ გპოვე თანამგრძნობელი
რომ შემეჩივლა ბედზედა.

—

აწ იმედ გაცრუებულსა
მერჯება სული მკვნესარი
ულმობელობა მტარველის
სამარეს მითხრის ესარი.

—

გულს მიწა დამაცვინდება
გადამიგიწყებს მნახველი
და უმნიშვნელოთ გაქრება
ტანჯული მონის სასელი!..

გ. ბოკერია.

ომი ტრანსვაალსა და ინგლისს შორის.

როგორც უკანასკნელი დეპეშები იუწყებიან, ომი ტრანსვაალის რესპუბლიკის და ინგლისს შორის აუცილებელია. ორივე სახელმწიფომ თავისი ჯარები უკვე მიიყვანეს სამზღვრებზე და დღე-დღეზე მოელიან შეტაკებას.

ტრანსვაალი მდებარეობს აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და გარშემორტყმულია თითქმის ინგლისის სამფლობელო მიწებით. ტრანსვაალი შეიცავს 119,139 ოთხ-კუთხ ინგლისის მილს და იყოფება 20 მაზრათ. მცხოვრებთა რაოდენობა უკანასკნელი ცნობებით შეიცავს 288,750 სულს თეთრ ხალხს, ხოლო ადგილობრივი მკვიდრი, შავი ხალხი, 622 ათას სულს აღემატება. თეთრი ხალხის უმეტესობას შეადგენენ ჰოლანდიელები, წოდებული ბურებათ; ისინი მოვიდენ აქ 1835 წელს და დაიმონეს ადგილობრივი მკვიდრნი და დაარსეს საკუთარი რესპუბლიკა. ბურები ჰოლანდიურათ ნიშნავს გლეხებს, და მართლაც ისინი აქ დღემდისაც მხოლოთ მეურნეობით ცხოვრობენ; მეორე მხრით აქ არიან ძალიან ბევრი ინგლისელები (აგრეთვე ნემეცები და სხვებიც) რომელნიც მიდევენ მრეწველობას და განსაკუთრებით კი მთა მადნების წარმოებას. ამ ნაირათ აქ ჩვენ ვხედავთ ერთი მხრით მეურნე ბურებს და მეორე მხრით მოსულ მრეწველ ინგლისელებს. ქალაქებში თითქმის ყოველგან ბურები უმცირესობა არის, ხოლო უმრავლესობა კი უცხოელნი. ამ თუთხმეტი წლის წინეთ ტრანსვაალში აღმოჩნდა ოქროს მადნები, რაიცა იჯარით მიეცა ინგლისელებს და აი ამას შემდეგ აქ ძალიან გაძლიერდა ინგლისის ელემენტი და ხშირათ წინ გადაეღობებოდა ბურების ინტერესებს. ტრანსვაალის მთავრობამ დაადვა დიდი ბაჟები სამრეწველო და სამთა—მადნო საქმეებს და ამით ძალიან გააბრაზა ინგლისელები. გარდა ამისა სკოლებში ინგლისელ ბავშვებს დაუწყეს ჰოლანდიურ ენაზე სწავლება; ძალიან გააძნელეს ტრანსვაალის ქვეშევრდომობის მიღება და პარლამენტში და ან სხვა საარჩევნო დაწესებულებებში ხმის მოპოვება. შემოიღეს უცხოელებზე სხვა და სხვა გადასახადი, ხოლო თვითონ ბურემა კი განითავისუფლეს თავი გადასახადებისგან. ერთი სიტყვით ტრანსვაალის მთავრობის წყარო უცხოელთა ჯიბეა, ხოლო ხმა კი ამათ არაფერში არ აქვთ. ყველა ამ გარემოებამ ძალიან შეაეიწროვა ტრანსვაალში ინგლისელი და ინგლისმაც ხმა ამოიღო თავისი ხალხის დასაცავათ, მით ეფრო რომ ტრანსვაალი იმყოფება ინგლისის დამოკიდებულების ქვეშ. და აი წელს ინგლისს მთავრობამ ტრანსვაალის მთავრობას მოთხოვა შემდეგი რეფორმები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) შემდეგ ხუთი წლის ტრანსვაალში ცხოვრებისა საარჩევნო ხმა.

2) პარლამენტში 1/4 ადგილი მთა-მადნების რაიონს.

3) თანასწორობა ინგლისურის და ჰოლანდიური ენის პარლამენტში,

4) ტრანსვაალის ძველ და ახალ ქვეშევრდომთ თანასწორი ხმა ყოველ ნაირ არჩევნებში.

5) ინგლისელი ბავშვებისთვის სწავლება ინგლისურ ენაზე და სხვ. აი ეს რეფორმები უარჰყო ტრანსვაალის მთავრობამ და გაემზადა საომრათ.

აი აქედან წარმოდგა დღეანდელი შეტაკება ამ ორ მთავრობას შორის. უეჭველია ტრანსვაალის ჯარი, რომელიც შედგება სულ დიდი 40 ათასი კაცისაგან, ვერ გაუძლებს ინგლისის მხედრობას და ბოლოს იძულებული იქნება ან მთლათ დაჰკარგოს დამოუკიდებლობა და ან მიიღოს ინგლისის მოთხოვნილება.

ხალხის გულის მესაიდუმლე.

(თხზულება ეგ. ნინოშვილისა.)

Иныхъ временъ, иныхъ картинъ
Провижу я начало. ნეკრასოვი.

(დასასრული) *)

V

მოსე მწერალი უბრალო გლეხის შვილი იყო. იმერეთში გლეხს კარგათა აქვს შეგნებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს ახლანდელ დროში სწავლა-განათლებას, და ამიტომ მამამ პატარა მოსე სოფლის სასწავლებელში მიაბარა. მოსემ გაათავა სოფლის სასწავლებელი, მაგრამ მამა მისს შეძლება არ ჰქონდა, რომ შვილი ქალაქს წაეყვანა, თოხის ხელში მიცემაც არ უნდოდა. ზოგი მწერალი მეტათ იდილიურათ ხატავს გლეხს მისი თოხით და დილიდან საღამომდე თავჩაქინდრული მუშაობით, მაგრამ ასეთი იდილია სრული სიყალბეა: გლეხს უყვარს თავისი ნაშრომი, ხოლო განუწყვეტელი მუშაობა, ოფლით მიწის რწყვა არც უყვარს და არც ეხალისება; მაგრამ რა ჰქნას, როდესაც ლუკმა პურის მოსაპოვებლათ მეტი გზა არ დარჩენია; მიეცით მას სხვა სახსარი ცხოვრებისათვის და ის დიდი სიამოვნებით დატოვებს თავის თოხს და „გლეხის დიდება ყანას“. მოსეს მამას გამოცდილი ჰქონდა თოხის სიმწარე და არ უნდოდა, შვილიც ამ სიმწარეში ჩაეყენებია. იმერელი კაცი საზოგადოთ მოხერხებულია, ეშმაკი და გაიძვერა. მოსეს მამასაც არ აკლდა ეს თვისებანი და შვილსაც უნაკლულოთ გადასცა; გაიგო, პრისტავს ბიჭი ჰყოლიაო და მაშინათვე იფიქრა, პრისტავთან ჩემი შვილი გამოიცდება, საქმე როცა მექნება, პრისტავი მწყალობელი მეყოლებაო, და შვილი პრისტავთან დააყენა. რადგანაც მოსემ რუსული წერა იცოდა, ამიტომ პრისტავი ხშირათ აძლევდა ხოლმე მას გადასაწერათ სხვა და სხვა ქაღალდებს. რამოდენიმე ხნის განმავლობაში მოსემ ზეპირათ დაისწავლა სხვა და სხვა ქაღალდების ფორმა, გაიმართა ხელი და ბოლოს პატარა საქმისათვის ქაღალდების დაწერაც შეეძლო. ხშირათ მას პრისტავი სიტყვიერათ ეტყოდა საქმის გარემოებას და მოსე თითონ შეადგენდა ხოლმე ქაღალდს. მოსეს მამამ რომ შვილის ამბავი შეიტყო, პრისტავს ჯერ ძღვენი ძღვენზე უზიდა და ბოლოს ხვეწნა დაუწყო: შვილი კანცელარიაში დამიყენე მწერლათო. პრისტავი დათანხმდა ხოლო იმ პირობით, რომ მოსეს მისთვის ჯამაგირის მეოთხედი ეძლია. ასეთ პრისტავთან ცხოვრებით მოსე მალე გაიცნობდა, თუ რა არის ქრთამი. ჩვენი პრისტავი თუ იღებს ქრთამს, მე ვიღასი დიდი კაცი ვარ, რომ არ ავიღოო — გაიფიქრებდა ის და ამით ჩაიხშობდა სინიდისის მხილებას. პრისტავთან მორჩილებას და მელაობას შეჩვეული მოსე თავდაპირველათ ხალხსაც პატივისცემით ეპყრობოდა, „თქვენ“-ობით ელაპარაკებოდა, მაგრამ, როდესაც ახალ ხელობაში მოშინაურდა და დაინახა, რომ ხალხზე მას გავლენა და ძალა ჰქონდა, ხალხი მასში საჭიროებდა, მალე დაუწყო ხალხს უზრდელათ მოპყრობა; ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ დაიბარებდა ხალხს კანცელარიაში, აცდევინებდა საღამომდე და გამოუცხადებდა: წადით სახლში, ახლა დაღალული ვარ, თქვენთვის არა მცალიაო. მოსე ნელ-ნელა შეეჩვია ქრთამების აღებას და ყალბი ქაღალდების შედგენას. თავდაპირველათ გაუგებდენ ხოლმე სიყალბეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისე დახელოვნდა, რომ მისი დაჭერა ყოვლათ შეუძლებელი იყო. მოსე ისე შეეთვისა მექრთამეობას, რომ ქრთამი ჩვეულებრივ გასამრჯელოთ მიაჩნდა; როცა ის ქრთამს იღებდა, ყველას ისე აჩვენებდა თავს, თითქო სისაძაგლეს კი არ ჩადიოდა, სხვას ეხმარებოდა და დახმარებაში მხოლოთ მცირეოდენ ხელფასს იღებდა. რომ ამ გვარი აზრი უფრო დაემკვიდრებია იმათ, გონებაში, ვინც მას დაასაქმებდა, ის განგებ ყოყმანს დაიწყებდა ხოლმე და საქმეს გააძნელებდა. ამ მხრივ საყურადღებოა მოსესი და ბაბალეს ლაპარაკი:

— შენი მუსლების ჭირიმე, ნუ გამიწყრები, — დაეღრიჯა ბაბალე მწერალს.

— რა გინდა, რა საქმე გაქვს? თქვი, თორემ მოსვენება მესაჭიროება, — უთხრა რბილათ მწერალმა.

*) იხ. „ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲚᲘ“ № 38

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსე ხალხთან ძალიან უზრდელი იყო, მაგრამ ახლა მან შენიშნა, რომ გასაგერმავი ლუკმა ჩაუვარდა ხელში და ამიტომ მოულბა ბაბალეს.

— ჩემი ოქრუა სალდათათ დაუწერიათ.

— მერე?

— გეიშველე რამე, ერთი შენ ხელს რომ ეკადრებოდეს, იმისთანა ქალალდი გამიგეთე.

— ამ შუმთხვევაში შველა არ შეიძლება: ხელმწიფის გადწეგეტილია, გისაც შესდება, უნდა წავიდეს.

— წეიღე რაც გვაბადია და გეიშველე რამე.

მოსე დაფიქრდა ბაბალეს სიტუეციაზე და შემდეგ უთხრა:

— არ შეიძლება, გეუბნები. შემოდი ოთახში და გეტეკვი, თუ რისთვის არ შეიძლება. ბაბალე შეჰყვა მოსეს ოთახში, მოსემ დაუდგა სკამი, დაბძანდითო, უთხრა და თითონაც დაჯდა და განაგრძო ლაპარაკი:

— სალდათობის საქმე ეველა საქმეზე უმძიმესია. სხვა საქმე რომ იყოს, ადვილათ გიშველიდით. ეგ კი, როგორც გთქვი, მეტათ ძნელია, მაგრამ, გთქვათ, მოგასერხე და გიშველეთ. რას მოგვცემთ გასამრჯელოს?

მოსემ ადრევე მოისაზრა და გადაწვეიტა, რომ საქმეს ხელს მოკიდებდა, რა საძნელოც უნდა ყოფილიყო, თუ კი ქრთამს აიღებდა, მაგრამ, ამდენ ხანს თუ იყოყმანა და საქმე გააზვიადა, იმიტომ, რომ ბაბალე ხელიდან აღარ წასულიყო. ქრთამი აეღო და ისე აეღო, რომ პირიქით ბაბალე დარჩენილიყო მისი უზომო მადლიერი. როდესაც მოსე და ბაბალე თითქმის მორიგდენ ხუთ თუმანზე, მოსემ კიდევ დაუმატა: „მე ჯერ სიტყვას ვერ მოგცემ, შემიძლია, გიშველოთ თუ არა. თუ კი შველა შეიძლება, ხუთი თუმნის გადახდაც ნუ დაგეზარებათ“. როდესაც მეორე დღეს, საღამოზე მოსე ბაბალესას მივიდა, უკვე მოსაზრებული ჰქონდა მთელი საქმე, მაგრამ ბაბალეს მაინც არ შეატყობია:

— იცით რა, მგონია, ამაოთ ჩაგვიელის თათბირი: ბევრი ვიფიქრე, მაგრამ არა უხერხდება-რა.

ასეთი მოხერხებითა და ეშმაკობით მოსე ბევრს იგებდა ხალხის თვალში. წინეთ თუ ქრთამების გულისათვის უჩიოდენ და ემდურიოდენ მას, ახლა მოსეს მექრთამეობაში ცუდს აღარავინ რას ხედავდა და ყველა დიდი მადლიერი იყო, ვისაც ის საქმეს გაუკეთებდა, თუნდა ტყუილა გაეკეთებიოს. ხალხში მას ძალიან ნასწავლი, ჭკვიანი და გავლენიანი პირის სახელი ჰქონდა გავარდნილი. „სტაველას, ძმავ, მოხმარა უნდა. რამდენია, იგი, რაცხა უნივერსია, თუ სემელარია, იქიდან გამოსული, მარა ნახე, თუ ჩვენი მოსე მწერლის მეათედი საქმე შეეძლოს“. ყველა დარწმუნებული იყო, რომ, თუ მოსე მოინდომებდა, დაღმა მიმავალ მდინარეს აღმა დააწყებინებდა

დენას, მისი ქალალდი კაცის მკვლელს დააბრუნებდა ციმბირიდან. მოსემ გააკეთა მოწმობა, ვითომ ბაბალეს ოქრუას მეტი ვაჟი არ ჰყავდა, სოფონა კი მისი გერი იყო, მოაწერია ხელი და ბეჭედი დააკერევინა მღვდელს, მამასახლისს და კეთილსინიდისიერებს.

ათანასე ნამდვილი ტიპია სოფლის ძველებური მღვდლის. ის იყო სამოც წელს ცადაცილებული მოხუცი. საქმის დღეს ყანაში ან ბაღში მუშაობდა, უქმე დღეს კი წირვა-ლოცვას უნდებოდა. ის ეკურთხა იმ დროს, როცა მღვდლობისათვის ძალიან ცოტა ცოდნა იყო საჭირო; მან მხოლოთ ხუცური იცოდა და მხედრულათ—მარტო თავის სახელის და გვარის მოწერა. ის იყო პატიოსანი, ხალხის მოყვარე და გულშემატკივარი; კარგათ იცოდა ხალხის მდგომარეობა და ამიტომ არავის არ აწუხებდა; ჯვარის წერაზე, ნათლობაზე, დამარხვაზე მან ვაჭრობა არ იცოდა, რასაც მიცემდენ, კმაყოფილი იყო. „ათანასეს მჭადის ყუა რომ წუუტეხოთ, დაგვჯერდება, არ გვექნება და დაგვიჯერებს“, ამბობდა ხალხი, რომელსაც ათანასე ძალიან უყვარდა. არავის ახსოვდა, რომ ათანასეს მრევლთან უკმაყოფილება მოსელოდეს. როდესაც მოხუცებულობის გამო სასულიერო მთავრობამ ათანასეს გადაყენება მოუნდომა, ხალხმა თხოვნა გაგზავნა: „სანამ ათანასე ცოცხალია, ჩვენ სხვა მღვდელი არ გვინდა და არც მიეიღებთო“, და ამგვარათ დაიტოვა თავისი საყვარელი ათანასე. თუ კი ვისიმე შველას შეიძლებდა ათანასე, ყოველთვის მზათ იყო და არაფერს დაიშურებდა. როდესაც მას ბაბალეს არზაზე ხელის მოწერა თხოვეს, ის ავათ იყო, მაგრამ მაშინათვე წამოვიდა; არავითარი ეჭვი არ ჰქონდა, თუ მას მოატყუებდენ და ხიფათში გააბამდენ და ამიტომ შეამოწმა ქალალდი, თორემ პატიოსანი ათანასე ტყუილს თავის დღეში ხელს არ მოაწერდა. მოსე მწერალმა თუ ამდენი პირი გააბრიყვა, დარწმუნებული იყო, რომ ვერავინ გაიგებდა, თორემ იმდენათ დაცემული არ იყო, რომ ხუთი თუმნის გულისათვის ამდენი ადამიანის დალუპვა მოენდომებია. როდესაც მოსე დააბეზღეს და მისი სიყალბე გამოაშკარავდა, მოსეს საშინელი თავზარი დაეცა. ის იმდენათ იტანჯებოდა, რომ ხალხიც კი ამჩნევდა და ამბობდა: „ამ ჩვენ მწერალს რაცხა ფარცაგი არ დამართიაო!“ მან დაჰკარგა მოსვენება, ძილი, აღარც სასმელი ახსოვდა, აღარც საჭმელი. რა ტანჯავდა ასე მოსეს? აი რა: მოსემ იცოდა, რომ საქმეს სასტიკათ გამოიძიებდენ; ამიტომ მას ან თავის თავი უნდა გამოემეტნა, ან სხვები, ვინც საქმეში იყო გარეული. მარტო თავის თავი რომ ხსომებოდა მოსეს, მაშინ ასეთ სულიერ ტანჯვაში სრულიადაც არ ჩავარდებოდა: თუმცა მისი მდგომარეობაც საში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იყო, მაგრამ, თუ მოინდომებდა და სინიდისზე ხელს აიღებდა, თავს ადვილათ დაიძვრენდა; მაგრამ მოსეს ამდენი უდანაშაულო ხალხი ებრალებოდა, მას სინიდისი ტანჯავდა. ის ორ ცეცხლ შუა იყო: ყველას გადარჩენა არ შეიძლებოდა, მაშ ვინ გაემეტებია? თავის თავი თუ სხვები? მალალ ზნეობას გარდა დიდი სულიერი ძალა და ხასიათის სიმტკიცე არის საჭირო, რომ ადამიანმა თავისი თავი გაიმეტოს სხვის გადასარჩენათ; თავის თავის სიყვარულმა ძლია მოსე, „თავის თავის საშიშროებაში მიცემას, ისევ სხვა გაემეტო, ჯობიაო“, გადაწყვიტა და დალუპა ყველა, მაგრამ მისი ხანმოკლე სულიერი ტანჯვა მაინც დარჩება მოწმათ, რომ ამ საზიზღარ მოსეშიაც არ იყო სრულათ მოსპობილი ადამიანური ღირსება

ჩვენ ამით სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა, რომ მოსესთანა პირების უზნეობას მკითხველმა ბოდიში მოჰხადოს და შეურიგდეს. ჩვენ მხოლოთ მისი არსებობის მიზეზებს უნდა ვეძიებდეთ. მოსე ციდან არ ჩამოვარდნილა, არც აუხსნელ მოვლენას შეადგენს: ის ჩვენი გლეხის შვილია, ჩვენი ცხოვრების მიერ წარმოშობილი; სიღარიბისაგან თავის დაღწევის სურვილმა შეატოპა მას უზნეობის მორევში; რაღაც ერთხელვე შეტოპა მოსემ, ვეღარ შეიკავა თავი და გასწია უფსკრულისაკენ, ვეღარ შეიკავა იმიტომ, რომ სიპატარავიდანვე მოკიდებული მას მხოლოთ გამდიდრების სურვილი გაუღვიძეს გულში სიპატარავიდანვე დაახშვეს მასში ადამიანური ღირსება და მხოლოთ უზნეობა და სხვისი ყველაფა აყურებიეს და ასწავლეს. მოსეს მოქმედება ჩვენ გულს გვიმღვრევს, მაგრამ ამავე დროს არ უნდა ვეავიწყდებოდეს, რომ მისი მოქმედების ყველა შედეგში მარტო მას არ უდევს წილი, არამედ სხვებსაც. ჩვენ თავში დავპირდით მკითხველს და ახლა მოვიყვანთ იმის მაგალითს, თუ როგორი სინამდვილით და პირუთვნელათ ხატავდა ნინოშვილი გლეხის ღირსებასთან ერთათ მის ნაკლულევანებასაც. თუ ბაბალე, ათანასე და სხვები მთელი ოჯახიბით დაღუპენ, ამაში მოსეზე ნაკლები წილი არ უდევს ბაგრატ ქერაძეს. ქერაძე და უნათლოშვილები ახლო მეზობლები იყვენ, მაგრამ მუდამ მტრობა ჰქონდათ ერთი მეორეში. თავდაპირველათ ერთ ნაჭერ მიწაზე შეექნათ საჩივარი. არავითარი საშუალებით არ ზოგავდენ ერთმანერთს საჩივრის დროს. როცა უნათლოშვილებმა მოიგეს საქმე, მტრობა უფრო გაძლიერდა; ამას შემდეგ კიდევ რამდენიმე მიზეზმა ორივე მეზობელი ერთი მეორის მოსისხლე მტრათ გადააქცია; ბაბალეს ოჯახის ბედნიერება ბაგრატის უბედურება იყო; მუდამ ღმერთს ეხვეწებოდა ბაგრატი: „ღმერთო, ერთი იგინის საწყენი საქმე შემაძლებიეო“. გაიგო თუ არა ბაგრატამ, რა მოხერხებითაც გაინთავისუფლა ოქრუამ თავი სალდათობისაგან, თუნდა აღდომა გათენებოდეს: მაშინათვე დააბეზღა.. აოწყდა ბაბალეს ოჯახი, ათანასეს ოჯახი, დაიკარგა რამდენიმე კაცი ციმბირში, — ყოველივე ეს უმთავრესათ ქერაძის წყალობით. შეიძლება, ქერაძე არ მოელოდა ასეთ შედეგს, შეიძლება ბოლოს დატანჯა სინიდისმა და ანანებია? სრულიადაც არა. ბაგრატა ძალიან კმაყოფილი იყო და ნიშნს უგებდა უნათლოშვილებს. ეთქვათ, უნათლოშვილები მისი მტრები იყვენ და არ შეეცოდა; მაგრამ მოხუცი ათანასეც ხომ მან დაღუპა, სოფლის საყვარელი ათანასე, ამან მაინც რატომ არ დატანჯა?! მიეცით ბაგრატას მოსეს ცოდნა და გამოცდილება და უკეთესი „მოსე მწერალი“ გამოვა! ვინც, მცირეოდნათაც არის, სოფლის ცხოვრებას იცნობს, მან კარგათ იცის, რომ ბაგრატასთანა პირები სანთლით საძებნელი სრულიადაც არ არიან; ისეთი მეზობლობა, როგორც ბაგრატასა და უნათლოშვილებს ჰქონდათ, დღევანდელ გლეხობაში იშვიათ მოვლენას არ შეადგენს: ცხოვრება გლეხისათვის დღითი დღე გასაჭირი ხდება და მელიასი არ იყოს: „გქონდა მშიერი მუცელი, რაღა დიდება ღმერთსაო“. გამწვავებული ცხოვრება ადამიანს ხშირათ აიყვანებს ზნეობა-პატიოსნებას. ამ მოთხრობაშიც ნინოშვილმა ნათლათ დაგვანახვა სამართლის წარმოების ნაკლულევანებანი ჩვენში. დამნაშავეთა ლაპარაკი, მათი სახის გამომეტყველება, სამოც და ხუთი წლის მოხუცი მღვდელი, რომლისგანაც ცუდი არავის გაუგონია, ადგილობრივ გარემოებათა ცოდნა საკმარისი იყო, რომ აღმოეჩინათ, ვინ იყო მართალი, ვინ მტყუანი და ამდენი ხალხი არ დაღუპათ მხოლოთ იმიტომ, რომ გაბრიყვდენ. ესეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, საქმის რიგიანი გამოკვლევა და არა მარტო ფორმალიზმის დაცვა ნათლათ გამოააშკარავებდა სიმართლე-სიყალბეს.. ვინც წინააღმდეგია ჩვენში ნაფიცი მსაჯულების, მას მეტათ გამოფიტული გული და დაჩლუნგებული გრძნობა უნდა ჰქონდეს, რომ ასეთ უსამართლობას ხედავდეს ჩვენ ცხოვრებაში და იმის მაგიერ, რომ მის მოსპობას ცდილობდეს, პირიქით, ეწინააღმდეგებოდეს ისეთ დაწესებულების შემოღებას, რომელიც მცირეოდნათ მაინც მოსპობს უსამართლობას.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

შ ე ვ ა რ დ ე ნ ი.

მ. გორკისა (რუსულიდან).

(გუშინდელი მ. ტ.)

ღვა თელემს.

აქ, ნაპირთან ზარმაცათ ქშინავს, იქ კი შორს, შორს, მთვარის მკრთალი სხივებით გატიალებულს ძინავს, არ იძვრის; მისი ხავერდის ზედა პირი ლურჯათ მოკამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამე სამხრეთის ცას ეზლუდება; ზღვას ღრმათ ძინავს. ნაზი, მსუბუქი ღრუბლები ისე ობლათ გაფანტულან აქა იქ ცის კამარაში, თითქო დედამიწა ებრალვით, —არ სურთ მოაკლონ მას ვარსკვლავების ციმციმი. ობლათ გაფანტული ღრუბლების ჩრდილი საოცნებოთ კრთის ზღვის ზვირთებში. ცა, გგონია, ნელნელა ეკონება ზღვას მისთვის, რომ გაიგოს თუ რას ჩურჩულობენ მისი დაუდგრომელი ზვირთები, როდესაც ზარმაცათ მიიზლაზნებიან ნაპირისაკენ.

მწვანით დაბურულს, თბილი, საამო სამხრეთის ღამის სიბნელით შემოსილს და აქა იქ საოცნებოთ ჩაკვეთილ მთებს თავიანთი მკაცრი მწვერვალები ამაყათ მიუბჯენიათ ლურჯი ცისათვის.

მთები დინჯათ ჩაფიქრებულან. თავის ჩრდილში ისე გაუხვევიათ მომწვანო, ფუნთრუშა ზვირთები, თითქო სურდესთ შეაჩერონ მათი შეუწყვეტელი დუდუნი და ოხვრა, ეს ერთათ ერთი დამრღვევი გარემო გამეფებულ იდუმალი სიჩუმისა.

მთვარე მთის მწვერვალოს ამოჰფარვია და მისი მკრთალი სხივები-ჯერ კიდევ ნაზათ ანათებს არე-მარეს.

— ა-ალა-ახ-ა-ახბარ!—წყნარათ ამოკრა ყირიმელმა ნადირ-რაგიმ-ოღლიმ სევდიან კილოზე. რაგიმი არის მაღალი, ჭალარა, სახე ხმელი და სამხრეთის მზისაგან გარუჯული აქვს. ის გონიერი მოხუცია.

მე და რაგიმი ვწევართ სილაზე ერთ ეეებერთელა დახავსებულ ქვის ძირში. ეს დაჩრდილული, დანაღვლიანებული ქვა მონათესავე უნდა იყოს მახლობელი მთისა, ოდესღაც მას უნდა მოხეთქოდეს. ახლა დევს ნაპირის მახლობლათ და ზღვის ზვირთებისაგან გამოყრილი ბალახები ისე ჩამოჰკონწიალებია მას, თითქო მიეჯაჭვოს ეს ეეებერთელა ქვა მთისა და ზღვის შუა მდებარე ნარიყალზე. ზღვისკენ მიშვერილი მხარე განათებულია ჩვენგან გაღვივებული ცეცხლის ალით. ალი კრთის და მისი ლანდი ბებერ, ღრმათ დახეთქილ ქვას უთამაშებს. ქვა მგრძნობიარე და მოაზრე არსებათ გვეჩვენება. ჩვენ ეხარშავთ თევზებს. ორივე რაღაც განსაკუთრებულ გუნებაზე ვართ; ისეთ გუნებაზე, როდესაც ადამიანი უსულო საგნებსაც კი ასულიერებს და ჰგონია, ყველაფერს გასჭვერეტს, ყველაფერს მისწვდება გონებით.

ასეთ დროს გული მოკრიალებულია, გრძნობ რაღაც შვებას და არც მოგეპოვება სხვა რაიმე სურვილი, გარდა ფიქრისა.

ზღვა ნაპირს ეალერსება. ზვირთები ისე ნაღვლიანათ დუდუნებენ, თითქო ცეცხლზე გათფობას გვეეედრებიანო.

ამ საერთო ჰანგებში ხანდახან მაღალი, ცელქი, ცბიერი ხმა გაისმის; ეს ერთი ზვირთთაგანია, ის სხვაზე უფრო შეუპოერათ გვიცოცდება ახლოს.

რაგიმი წევს პირქვე. თავი იდაყვებზე აქვს დაყრდნობილი, ბომბორა ბუხრის ქუდი კეფაზე მოქცევია; ის ჩაფიქრებული უცქერის თვალ უწვდენელ სივრცეს. მის მაღალ, ხშირად დანაოჭებულ შუბლს ზღვის ნიავი აგრილებს; ის თავისთვის მსჯელობს; ყურადღებასაც არ მაქცევს, არც მეკითხება, ვუგდებ ყურს თუ არა; ის თითქო ზღვას ესაუბრება:

— ალახის ერთგული სამოთხეში მიდის: ვინც ალახს და მახმადს არ ემსახურება, მისი სული, იქნება, ამ ზღვის ქაფშია; აი ის ბრწყინვალე ბუჭბუჭები ზვირთებზე, ვინ იცის, იქნება. მათი სულია?!

ცა ოდნავ ნათლდება. აქა იქ მთვარის სხივებმაც წვერი ჰკრა. აჰა, ამოსცურდა კიდეც ბადრი მთვარე დაბურულ მთის მწვერვალოდან და ჩაფიქრებული დაანათა ზღვას. ზღვა ოხვრით მიეგება.

— რაგიმ, მოდი ერთი, ჭიამბე რამე. ვთხოვე მოხუცს.

— რათა?

— ისე! მიყვარს შენი ზღაპრები.

— მეტი აღარ ვიცი; ყველა გიამბე.

მე კიდევ შევეხვეწე: ვიცოდი ხვეწნა საჭირო იყო.

— გინდა? ერთ ზღაპარს გიამბობ, დათანხმდა რაგიმი და დაიწყო მოთხრობა მეტათ დამახინჯებული რუსული ენით; თანვე ცდილობდა ზღაპრისათვის შეერჩინა თავისებური, ბარის კილო.

I.

ერთხელ მაღლა მთაზე აცოცდა ძლოკვი; იქ გრილ ხეობაში მოიგვერგვა და დაიწყო ზღვისკენ ცქერა. მაღლა ცაზე მზე ბრწყინავდა; ძირს მთა გორებს ალმური ადიოდა სიცხისაგან; კლდოვან ნაპირს ზვირთები აწყდებოდა. ხეობის ჯურღმულებში ნაკადულები მიჩხრიალებდენ, მიისწრაფოდენ ზღვისაკენ. აგერ შეუერთდენ მდინარეებს და მძლავრი მდინარე, ერთიან აქაფებული, ჭრიდა მთებს და გარისხებული, საშინელი ხმაურობით ზღვას უერთდებოდა.

უეცრათ, იმ ხეობაში, სადაც ძლოკვი იყო მოგვერგილი, ციდან ჩამოვარდა გულ გაგმირული, ფრთებ გასისხლიანებული შევარდენი.

კვნესით დაწყდა დედამიწას და გამწარებულმა ქვაზე ფრთხიალი დაიწყო.

ძლოკვი შეკრთა. სწრაფათ უკან დაიხია, მაგრამ როდესაც მიხედა, ფრინველს ორი-სამი წამიღა დარჩენოდა სიცოცხლე, მიცოცდა ახლოს და ზედ პირდა-პირ ცხვირ პირში წასისინა:

— რა მოგდის, კვდები?

— ოჰ, ვკვდები,—მიუგო ღრმა ამოოხერით შევარდენმა,—მაგრამ რა?! მაგიერათ... ჰე, მე კარგათ მიცხოვრია, თავს ბევრი რამ გადამხვედია, მამაცურათ მიომნია; მე ცა მინახავს, ჰე, შე საბრალოო, შენა! შენ რომ ვერ ნახავ ცას აგრე ახლოს!

— მერე რაა ცა? სივრცე ცარიელი! იქ როგორ უნდა ვიცხოვრო? არა, მე აქ შვენიერათ ვცხოვრობ: სიგრილეც არის და სითფოც. ასეთი პასუხი მისცა ძლოკვმა თავისუფლების მოყვარულ შევარდენს; გულში კიდეც გაეცინა მის სიბრიყვეზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიფიქრა: იფრენ, თუ იხოხებ—ბოლო ერთია; ყველა მიწაში ჩავალთ, ყველანი მტვერათ ვიქცევითო.

ამ დროს ძლიერი შევარდენი შეინძრა, წამოიწია, მოავლო თვალი ხეობას და რა დაინახა, რომ ხეობაში ბნელოდა და სინესტისაგან სულის შემხუთავი შმორის სუნი იდგა, საშინელი ტანჯვით მოიკრიბა მთელი თავისი ძალ-ღონე და შესძახა:—ჰოხ, ნეტავი ერთხელ კიდევ გამანავარდა ცაში! ძლოკვმა იფიქრა: უთუოთ კარგი საცხოვრებელი უნდა იყოს ცაში, რა კი ეს ასე მოთქვამს მის დაკარგვასო და თავისუფლების მოყვარულ შევარდენს ასეთი რჩევა მისცა:—გაიწიე კლდის ნაპირისკენ და გადაეშვი, იქნება ფრთებმა შეგიმაგროს და მცირე ხანს მაინც იცხოვრო შენ სანატრელ ბუნებაში.

შეშფოთდა შევარდენი; სუსტათ დაიკვნესა და წაფორთხდა კლდისკენ.

მიეიდა, გაისწორა ფრთები, ღონიერათ ამოისუნთქა, თვალები გაუბრწყინდა და გადაეშვა კლდეზე.

გადაეშვა; ერთ ქვიდან მეორეს ეხლებოდა; ფრთები ემტვრეოდა; ბუმბული ცვიოდა! აგერ ჩანჩქერის ნაკადმა სტაცა ხელი! მოჰბანა სისხლი, გახვია ქაფში და გაუყენა ზღვას.

ნაღელიანათ მობუტბუტე ზვირთები ნაპირს ეხლებოდა.

ფრინველის მძორი აღარც კი ჩანდა. ძლოკვი დიდხანს ჩააფიქრა ფრინველის სიკვდილმა და მისმა ცასადმი სიყვარულმა. მერე გახედა იმ სივრცეს, რომელიც მუდამ ჰბადებს ოცნებას ბედნიერებაზე, და დაიწყო.

— რას ბოულობდა შევარდენი ამ უფსკრულ უდაბნოში! მიკვირს რათ იშფოთებენ სულის სიჭშეიდეს ცაში ფრიალისათვის! რას ხედავენ იქ კარგს? ხომ ყველაფერს გავიგებდი, რომ წამით აეფრინდე ცის კამარაში.

სიტყვა საქმეთ აქცია: მორგვალდა ბეჭედივით, შეტოპა ჰაერში და მზეზე თეთრ ზოლათ გაისრიალა.

სულ დაავიწყდა ძლოკვს, რომ, ვისაც ბუნებამ მარტო ხოხვის ნიჭი მისცა, მას ფრენა არ ძალუძს. დაავიწყდა ეს, ჩამოვარდა, დაასკდა დედამიწას, არ მოკვდა კი, ჩაიცინა და თქვა:

— ესეც შენი ფრენა! აი, თურმე, რაში ყოფილა ფრენის სიმოვნება!—დაკემაში. ჰო, რა სასაცილო არიან ეს ფრინველები! ძირს ქვეყანას არ იცნობენ, აქ სვედიანობენ, ზეცას მიისწრაფიან და ცხოვრებას აი, იმ სასტიკ უდაბნოში ეძებენ. იქ სიკალიერის მეტი რა არის? იქ სინათლეა, მაგრამ საჭმელი არ არის; იქ არაფერი არ მოიძევა ისეთი, რაზედაც სულიერ არსებას შემაგრება, დამყარება შეეძლოს. მიკვირს, რას ამბობენ ეს ფრინველები? რისთვის გმობენ ამ ქვეყანას? მისთვის, რომ თავიანთი გიჟი სურვილები გაამართლონ და მით დაჰფარონ თავისი უვარგისობა ცხოვრებისათვის!

სასაცილო არიან ფრინველები!

— აწი მაინც ველარ მომატყუებენ. მე თვით ვიცი ყველაფერი. თითონ ენახე ცა, აეფრინდი, გავიცანი, ძირს ჩამოვარდნაც ვიგემე; გადავრჩი სიკვდილს და ახლა უფრო მრწამს ჩემი თავი. ვისაც ამ ქვეყნის სიყვარული არ ძალუძს, დევ მოიტყუილონ თავი; მე კი, მე ვიცი რაშიაც არის სიმართლე, არ ვერწმუნები, არა, აწი მათ სიტყვას, მე მიწის შვილი ვარ და მიწით ესულდგმულობ.

გაათავა რა ეს სიტყვები, ძლოკვი თავმომწონეთ მოიგვერგვა ქვაზე.

ბრწყინავდა ზღვა, გახვეული სამხრეთის მზის სხივებში.

ზვირთები შხუილით ნაპირს ეხლებოდა. მათ წყნარ დუდუნში ეს ლექსი გაისმოდა ამაყ შევარდენზე.

ჰო, ამაყო შევარდენო, ცის, უნაპირო ცის მცხოვრებო, მზის საყვარელო. ჰო, ამაყო შევარდენო, შენი სამარე იპოვე შენ ზღვის უფსკრულში.

რაა რომ მოკვდი! შენ იქნები მაგალითი ძლიერ, შეუპოვარ მებრძოლთათვის; იქნები მათი ალმაფრთოვანებელი სინათლის და თავისუფლების ძიებაში.

სდუმს დიადი ზღვა. სვედიანათ ლუღლუღობენ ზვირთები. მეც ესდუმ ვუცქერ რაგიმს, რომელმაც მოუთხრო ზღვას ეს ლექსი—შევარდენზე.

მთვარის სხივისაგან ზღვაზე თან და თან მეტი ბრწყინვალე წერტილები გამოჩნდა. ერთი ზვირთთაგანი, თითქო გამოსაჯავრებლათ, ცელქათ მოაწყდა ნაპირს და რაგიმს ზედ თავთან მიუკოცდა.

— სად მოხვალ, დაიკარგე! გაუქნია რაგიმმა ხელი. ზვირთი მორჩილათ ჩაგორდა ისევ ზღვაზი.

მე სრულიად არ მაკვირვებს რაგიმისაგან უსულო საგნის სულიერსავით მოპყრობა.

მთელ არე-მარეს სიცოცხლის ელფერი დევს. ზღვა რაღაც საგრძნობლათ წყნარია. გრძნობ, რომ მის გრილ საამო ნიავში, რომელსაც ის ჰფენს ჯერ კიდევ დღის პაპანაქებისაგან გაუგრილებელ მთებს, იმარხება ძალა, ძალა დიადი.

ლურჯი კამკამი ცა ვარსკვლავებით დაქარგულია, რაღაც სიდიადე, საიდუმლოება სუფევს! სული აღფრთოვანებულია, ჭკუა რაღაცას მოელის. ყველაფერი თვლემს.

გგონია, ერთი წამი—და ყველაფერი შეინძრევა, ახმაურდება და მათი ხმაურობა შეერთდება ერთ ტკბილ ჰარმონიათ და ეს ხმა ძოგვითხრობს სამყაროს საიდუმლოებას, გაუმჟღავნებს მას ჩვენ ჭკუა-გონებას, დაკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას, მერე გაიტაცებს სულს ლაჟვარდ უფსკრულისაკენ, საიდგანაც მოეგებებიან მას მოცმაკიმე ვარსკვლავები; ისინიც დიადი ჰანგებით უკალობებენ სამყაროს საიდუმლოების გამომჟღავნებას.

კ. ...ის.

ცოტა რამ ბათუმის შესახებ.

დასავლეთ საქართველოს მკვიდრი რომ თფილისს მოუახლოვდება, გაფაციცებით ადევნებს თვალს თფილისის ირგვლივს არე-მარეს, ხოლო როდესაც ოთხსა და ხუთ დღეს დარჩება და ქალაქს დაათვალიერებს, — მაშინ კი, თითქო გული სწყდება რამეზეო, თავს აქეთ-იქით გადიქნევს და ამბობს: „ღმერთს თავისი უხვი კალთა სწორეთ ამ ქალაქში დაუბერტყიაო“. არც გასაკვირველია, რომ ასე მცირე ხნით მოსული სტუმრის ყურადღება თფილისის სივრცემ, მჭიდროთ გაშენებულმა ქალაქმა, მდიდრულმა შენობებმა და სხვა ათასმა სათვალთმაქცო რამემ მიიპყროს, მაგრამ, თუ კაცი თვეობითა და მით უმეტეს წლობით იცხოვრებს თბილისში, მაშინ კი ასე იტყვის — „ეშმაკს დაუბერტყია თავისი კალთა და ამოდენა საძაგლობაც იმის კალთის ნაბერტყიაო“.

ზვეითაც ვთქვი: ცოტა ხნით მოსული სტუმარი უფრო გარეგნობას მიაქცევს ყურადღებას, თუ ამ გარეგნობაში მეტის-მეტი სისაძაგლე არ გამოსჩვივის, ცოტა რამე შეუმჩნეველი რჩება. მაგრამ სტუმარიცაა და სტუმარიც: ხომ მოგეხსენებათ, ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს მღვდლის ცოლიო“. მეკი როცა შემთხვევა მაქვს ხოლმე, რომ საქართველოს სხვა ქალაქიც ვნახო, ყოველთვის იმას ვაქცევ ყურადღებას ამ ქალაქს მსგავსება აქვს რამე ჩვენ თფილისთან თუ არა მეთქი; თუ ეხედავ, რომ განსხვავებაა — და განსხვავება საუმჯობესო სწორეთ მოგახსენოთ, დიდ სიხარულსა ვგრძნობ.

წარსულ კვირაში რამდენისამე დღით მომიხდა ბათუმში ყოფნა. არ ჩამოვთვლი იმას, თუ რა სიამოვნება და თითქმის ალმოფრენა მაგრძნობინა საერთოთ დასავლეთ საქართველოს მშვენიერებამ კერძოთ და პატარძალივით მორთულ-მოკაზმულმა კოპწია ბათუმმა. თითონ ბათუმი, როგორც ქალაქი, დიდი არ არის. სივრცით ბევრათ ჩამორჩება არამც თუ თფილისს, — ქუთაისსაც კი. მაგრამ, როგორ გგონია, ჩემო მკითხველო, ქალაქის მხრით სად უფრო დაცულია წესიერება: თფილისსა, ანუ ქუთაისში, თუ ბათუმში, სადაც ყოველ დღე ათასი ჯურის ხალხს გადმოსვამს ნაპირზე რუსეთისა და უცხოეთის გემ-ხომალდი და, ამას გარდა, ათი-ათასობითა და ბევრჯერ ასი ათასობით ფუთი საქონელი მიაქვთ და მოაქვთ?! სრული ჭეშმარიტება იქნება თუ ვიტყვით, რომ გაცილებით უფრო წესიერება არის ბათუმში, ვიდრე ჩვენს „კურთხეულ“ თფილისში: ქუჩები ფართო და ლაზათიანი, ქუჩის იქით იქეთა ნაპირები ასფალტით მოფენილი და სიწმინდე ამ ქუჩებისა ხომ ერთ უსაჭიროეს მოვალეობათ გაუხდია იქაურ ქალაქის საბჭოს. იქ თითქმის ღამითვე ჰგვიან ქუჩებს, აგროვებენ ნაგავს და დილა ადრიანათ გააქვთ. ასე, რომ ჩვენ, თფილისელები თუ დილით საღამომდე მტვრის კორიანტელში ვართ გახვეულნი, ბათუმელები წმინდა ჰაერს სუნთქავენ; ჩვენ-ში თუ აქა-იქ ბჟუტავს გამჭვარტლულ-გამტვერიანებული ფარანი, ბათუმი ბევრათ უფრო განათებულია, მაგრამ ამას აღარა სჯერდება და ძალიან ჩქარა ელექტრონითაც გაანათებენ; ჩვენი ერთათ ერთი ქალაქის ბაღი თუ გოგო-ბიჭებისა და ჯიბგირების სათელათ არის გარდაქმნილი, ბათუმს ყოველი ღონე უხმარია, რომ ქალაქის ბაღი გამშვენებული და დაცული იყოს: რა და რა მცენარე გნახავთ, რომ იქ არ ნახოთ და ყველა ამას გულ და გული მზრუნველობის დაღი ასვია.

სწავლა-განათლების საჭიროება ხომ დიდი ხანია შეგნებული აქვთ ბათუმელებს. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერც დაიარსებდენ ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიას, ქალთა სასწავლებელს და სხვას... გარდა ამისა, ბათუმში არის ქართული სკოლა, სადაც, ქართულს გარდა, ასწავლიან რუსულსაც. ამ სკოლაშივე არის ქართველ-მაჰმადიანთათვის თათრული ენის განყოფილებაც, რომელსაც ქართველი მაჰმადიანიც ხოჯა განაგებს.

მე მგონია, ყველა ქართველისთვის სასურველია, რომ, თუ ბევრათ არა, ცოტათ მაინც იკოდეს ამ სკოლის სვე-ბედი. ეს სკოლა თუმცა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების „გამგეობას ექვემდებარება, მაგრამ, მე მგონია, დიდი მზრუნველობა არ გამოუჩენია გამგეობას ამ სკოლის უფრო კარგათ მოსაწყობათ და რიგიან ნიადაგზე დასაყენებლათ!

მართალია, ბათუმელ ქართველებს საკუთარი შენობა შეუძენიათ სკოლისათვის, მასწავლებელთა სადგომიცა აქვთ, მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნივთიერათ ცუდ მდგომარეობაში არის ეს სკოლა, რადგან იმის არსებობის ერთათ ერთ საღსარს მხოლოთ ბათუმში გაპართული ქართულის საღამოს შემოსავალი შეადგენს. ამ საღამოს ფულით უნდა შეიძინონ სასკოლო ნივთები, ამით უნდა იყიდონ შეშა, ნავთი, დაიქირავონ მოსამსახურე და ამითვე უნდა დააჯილდოვონ მასწავლებელთა შრომაც. სრული დარწმუნებული ვართ, ბათუმის ქართველობას, დიდიდან მცირემდე, თავისი წელილი შეაქვს ამ კეთილ დაწესებულების სასარგებლოთ, მაგრამ მაინც კიდევ შემწეობა და დახმარება ესაჭიროება, რათა უზრუნველ იქმნას როგორც თითონ სკოლა, აგრეთვე მასწავლებლებიც ეს მით უფრო საჭიროა, რომ ბათუმი განაპირა ქალაქია და ჩვენს დაკარგულ თანამოძმეებს — ქართველ მაჰმადიანებს — ხელ-ახლათ შეგვაერთებს, ხელ-ახლათ საერთო ულელში შეგვაბამს.

მე თვითონ დავესწარი ქართული ენის გაკვეთილს და დიდათაც ვის-ამოვენ. ვის არ ესიამოვნე-

ბა, როდესაც ხედავს, რომ სკოლაში სრული წესიერება არის დაცული, გაკვეთილი ყველამ ჩინებულათ იცის, მშვენივრათ ხსნიან სიტყვების აზრს და ყველა ამაში საერთო ნაწილი უდევთ ქართველ მაჰმადიანთა შვილებს, რომელთაც აქამომდე შეუბღალავათ დაუცავთ მამა-პაპათაგან გადმოცემული ქართული ენა. ჩვენ შვილებთან ერთათ ისინიც მკვირცხლათ და გასაგებათ იმეორებენ საზეპიროებს, სწერენ, კითხულობენ და იმღერიან. ყველა იმაში კი დიდი ღვაწლი მიუძღვით ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებლებს, რომელთა თავდადებული შრომა და პატარა მოწაფეების მიმართ დამოკიდებულება უფრო მამაშვილურ განწყობილებას მოგონებს მაყურებელს, ვიდრე ჩვეულებრივ სკოლას თავისი მასწავლებელ მოსწავლეებით.

„ზოგი ჭირი მარგებელიაო“—იტყვიან და ეს ანდაზა სწორეთ ბათუმის ქართულ სკოლაზე ამხდარა: ყიფიანის და მისი დამქაშების რისხვა ამ სკოლას კარგათ მოხდენია, რადგან ბედს ორი საუკეთესო მასწავლებელი მისთვის ურგუნებია. [1])

ზემოთ ვთქვი, ბათუმის ქართულ სკოლას უსათუოთ დახმარება უნდა მეთქი. შეიძლება ეს ჩემი მოსაზრება უადგილოთ ეჩვენოს ვისმე და სთქვას: დღემდე თუ კარგათ მიდიოდა სკოლის საქმე, შემდეგშიაც ასე წავაო, მაგრამ, ვიმეორებ, სკოლა ნავთიერათ აქამდეც არ ყოფილა სასურველ მდგომარეობაში და არც ახლა არის. ამას გარდა, როგორც გავიგეთ, სკოლის კომიტეტს განზრახვა თურმე აქვს გადასახადი დაადოს მოსწავლეებს. ეს ასეც უნდა მოხდეს, თუ სხვა რამე საღსარი არ გამოეძებნა სკოლას, მაგრამ ეს სასურველ ნაყოფს მოიტანს?—არა მგონია და რატომ—ახლავე მოგახსენებთ. დღეს სწავლა ყველასათვის უსასყიდლოა ამ სკოლაში და ამიტომაც ყველა ღარიბ მშობელს იქ მიჰყავს თავისი შვილი, მაგრამ თუ სასყიდელი დაადეთ, მაშინ კი იძულებული იქნება შვილი სასწავლებელს მოაშორებოს, რადგან ამგვარ რამეს დაჩვეული არ არის და არც შეძლება აქვს, რომ სწავლის ფასი იხადოს, თუნდაც ეს ფასი მცირე იყოს. ეს, უეჭველია, ყველას დააფრთხობს და მით უმეტეს ქართველ-მაჰმადიანებს, რომელთაც ჯერ კიდევ საკმაოთ არა აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი „ახალმოდური“ სწავლის სურვილი და სიყვარული. დღეს თხუთმეტი ქართველი მაჰმადიანი სწავლობს სკოლაში და ერთ ამდენზე მეტი კიდევ მოემატება, რადგან ჯერ თურმე მთაში არიან და სიცხის შიშით ვერ ჩამოსულან. ამას შემდეგ უთუოთ ყოველ წლობით იმატებს სწავლის მსურველთა რიცხვი, როგორც ამას წარსულ წელთა ანგარიშები ამტკიცებენ.

ჩემის აზრით, გამგეობამ გულ მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ სკოლის საქმეში, აღმოუჩინოს რაიმე დახმარება და მთლათ სკოლის კომიტეტს არ მოახვიოს თავზე, მით უმეტეს, რომ გამგეობას კარგათ მოეხსენება, რა საშუალებით სულდგმულობს ბათუმის ქართული სკოლა და რა ნაყოფის მოტანა შეუძლია მას, თუ ვინმე საქმით თანაგრძნობას გამოუცხადებს. უზრუნველ-ყოფა სკოლისა და მასწავლებლების, ისე მაინც, რომ აუცილებელს საჭიროებაზე თავს არ ამტერეედენ,—ეჭვი არ არის, ერთი ათათ უფრო წაახალისებს მასწავლეებსაც და მასწავლებლებაც და ეს წახალისება იმდენათ გაამხნევებს ორსავე მხარეს, რომ მოსალოდნელზე უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს როგორც ქალაქ ბათუმის ღარიბ მკვიდრთ, ისეც ჩვენ თანა მოძმე ქართველ მაჰმადიანებს.

***

[1]) ეს კი ასეა, მაგრამ სენაკის სკოლას მოუსდა თუ არა ამ მასწავლებლების დაკარგვა?!.

შენიშვნა ასოთ ამწყობისა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბკალის 37 № ში მოთავსებულია წერილი ვიღაც „ივანე გრიგოლაძისა“, ლანჩხუთის შესახებ. ის პირები, რომლებიც ამ წერილში კბილ- გაკრეულია, ძლიერ გაცსარებული არიან და მოიტანეს იერიში ჩემზე, რასაც, დარწმუნებული ვარ, ისეთი შედეგი მოჰყვება, როგორიც მოხდა გასულ წელს აკეთის საზოგადოებაში. ოგველ ფესის გადადგმაზე ისეთ უსიამოვნო ამბებს შესვდები, რომ მოსვენებას არ გაძლევენ.

წერილში აღნიშნულმა პირებმა ჩემ სახელს მიუმატეს „ძე“ და გამოვიდა გრიგოლაძე. თუმცა წინ ივანე წერია, მაგრამ აი რა თქვეს: „თავი დამალა და ბოლო გამოაჩინა“, თუმცა ეს ეკრანული საბუთია, მაგრამ ვერც დავაჯერე, მაშინ, როდესაც ჩემმა სულმა და ხორცმა არაფერი არ იცის ამ წერილის, და იმ დროში არც ლანჩხუთში ვიყოფილვარ. ამისთვის უმორჩილესათ გთხოვთ, ქ-ნო რედაქტორო, დაუთმოთ მცირედი ადგილი ერთ უმასლობელს ნომერში ამ წერილს და გამოაცხადოთ, რომ ის წერილი მე არ მეკუთვნის და, თუ შესაძლებელია, წერილის აკტორსაც ვთხოვ გამოაცხადოს თავის ვინაობა და მე განმთავისუფლოს მისი წერილის გამო მომხდარ უსიამოვნებისაგან. [1])

გრიგოლ ურატაძე.

[1]) ამით გამოწმებთ, რომ წერილი ლანჩხუთში მომხდარ ჩხუბის შესახებ არ ეკუთვნის გრიგოლ ურატაძეს. ხოლო იმ პირებს, ვისაც წერილი ეხება, ასე ვეტყვით: „რაც მოგიგია დაგითია, ეგელ შენი თავითაო“.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელი.

Доз. ценз. Тифлисъ, 25 Сентября 1899 г. Тип. Т. М. Ротиніянца—სტამბა ტ. მ. როტინიანცისა. Год. пр. д. № 41.